ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 239 1877

ივერია

№ 239 1903

ნოემბერი 8, შაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ნოემბერი 8, შაბათი 1903 წ.

რედაქციისაგან

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანიათ, დაიჩქარონ ფულის შემოტანა.

პირველ ნოემბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 2 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

თბილისის სამარხი კასის

გამგეობა

აუწყებს თავის წევრთ გარდაცვალებასა ამავე კასის წევრის ნატალია სვიმონის ასულის ედილაშვილისას და სთხოვს **შემოიტანონ** ხვედრი **გარდასახდი თითო მანეთი და ხუთი შაური** გამგეობის წევრ იოსებ შერკვილაძესთან (ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“.

ვისაც სურს ჩაეწეროს წევრად, აქვე მიმართოს. (4—2)

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აიღო

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი,** მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სამონის ძე მოლცელიძე.**

პარასკევს, 5 დეკემბერს, 1903 წ. „ტფ. კრუჟოკის“ დარბაზში გაიმართება

საცეკვაო საღამო

საკონცერტო და სალიტერატურო განყოფილებით; მონაწილეობას მიიღებენ არტისტები და მუსიკის მოყვარულები. შემოსავალი გადაიდება **ხელმწიფე იმპერატორის** მფარველობის ქვეშ მყოფის **ზემო-ავჭალის სამიწად-მოქმედო და სახელოსნო კოლონიის** საშუალებათა გასაძლიერებლად.

დარბაზის **დეკორაციები**—ა. ო. ნოვაკისა. **კიოსკები**—ნ. ო. ნოვაკისა და კოლონიის მოწაფეთა. **გამოფენა** მოწაფეთა ნაწარმოებისა.

ანტრაქტებში დაუკრავს კოლონიის მოწაფეთა ორკესტრი. დაწვრილებით იხ. აფიშებში.

შესვლის ფასი (საქველმოქ. გადასახადით) 2 მ. 10 კ.; პრემიებს მადლობით მიიღებენ. საკონცერტო განყოფილება დაიწყება $8\frac{1}{2}$ ს., ცეკვა—$10\frac{1}{2}$ საათზე. სამხედრო მუსიკა. გულ-ამოჭრილი კაბა და ფრაკი სავალდებულო არ არის.

საღამოს დიასახლისი უგ. კნ. თ. დ. გრუზინსკაია. გამგე ა. ს. **ფრენკელი.**

ბილეთები იყიდება: კოლონიის საზოგადოების წევრებთან: ა. ს. ფრენკელთან (გრიბოედ. ქ. 33), ა. პ. მირონოვიჩთან და მ. დ. მელიქოვთან (სასამართლო პალატა), მ. გ. მუატთან (საოლქო სასამართლო) მომრიგებელ მოსამართლეებთა და ნოტარიუსებთან, ლოტის საკონდიტეროში და „ტფილისის კრუჟოკში“. (უ. 4—1)

წარმოდგენა № 17. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 9 ნოემბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

I

უბედური

დრამა 3 მოქ. თხზ. კანო-ი-მაზახისა. თარგ. ვ გუნიას მიერ,

II

საუბედურო დებიუტი

ვოდ. 1 მოქმ. გადმ. რუს. ახოსპირელის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელისა. ბ-ნნი: გედევანოვი, ნ. გვარამძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ მესხი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: «ქმართა სკოლა“, მოლიერისა. შემდეგი ბენეფისი 11 ნოემბერს კ. ყიფიანისა.

რეჟისორი **აკაკი.**

წარმოდგენა № 11. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

სამშაბათს, 11 ნოემბერს 1903 წ.,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

კ. დ. ყიფიანის საბენეფისოდ

I

დაქცეული ოჯახი

კომ. 3 მოქმ. თ. გ. ერისთავისა.

II

თილისმით მოარშიყე

ვოდ. 2 მოქ. თ. გ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითაშვილი, ნებიერიძისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილისა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, ბ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

შაბათს, 8 ნოემბერს 1903 წ.

მეექვსე გალა-სპექტაკლი.

მის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

დუბროვსკი

ოპერა 4 მოქმ. 5 სურათ., მუსიკა ნაპრავნიკისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: რენე-რადინა, დელინა, სკორუპსკაია; ბ-ნნი ფიგნერი, სელიავინი, ილიუშჩენკო, ამირჯანი, შმაკოვი, რჟანოვი, კლიუზნერი, სანგურსკი, გრინევი, გავრილოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ესპოზიტო.

უფროსი რეჟისორი ხ. ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ხვალ ორი წარმოდგენა იქნება: დილით დაკლებულის ფასებით— «რუსალკა», საღამოს „სევილიელი დალაქი“.

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. $1-1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. $1-1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია.

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. $7\frac{1}{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. $8\frac{1}{2}$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი

ჟურნალის „მწყემსის“ ოცის წლის არსებობისა გამო, რედაქტორ-გამომცემელს დეკანოზ ღამბაშიძეს განუზრახავს ამ ჟურნალის არსებობის ისტორია ცალკე წიგნად დასტამბოს და უფასოდ დაურიგოს თავის ხელის მომწერთ, რომელთაც ჟურნალი ათის წლის განმავლობაში მუდმივ მისდიოდათ.

ამასთანავე, დეკანოზ დ. ღამბაშიძეს განუზრახავს მომავალ წლიდგან ჟურნალ მწყემსის ხელის მომწერლებს ცალკე თვიური დამატებაც უგზავნოს—„სამკურნალო და ჰიგიენური ფურცელი“. ფასი ჟურნალის „მწყემსისა“ დამატებით ეღირება მხოლოდ 4 მანეთი წელიწადში.

დღეს, 8 ნოემბერს, მთავარ-ანგელოზის მიხეილის დღესასწაულს უქმობს კადეტთა კორპუსი, იუნკერთა და რკინის გზის სასწავლებლები, ფერშლების სკოლა და სამხედრო ოლქის სასამართლო, სადაც ეკლესიები მთავარ-ანგელოზის სახელზეა აგებული და ნაკურთხი. დღესვე ავლაბარშიაც დღეობაა მთავარ-ანგელოზის ეკლესიისა.

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულმა მედვედიევმა განიზრახა ქალაქის მილის წყალი გააყვანინოს საბოტანიკო ბაღში და გამგეობასათვის მიუწერია, იანგარიშეთ, რა დაჯდებაო. ქალაქის ინჟენერს ქურდიანს გამოუანგარიშნია, რომ ამ საქმეს 1,200 მანათამდე დასჭირდებაო.

საგლეხო კანონთა გადასასინჯად მთავარ-მართებელს გენერალ-ადიუტანტს თავ. გოლიცინს დაუარსებია კომისია მისი კანცელარიის დირექტორის გენ.-მ. ტროფიმოვის თავმჯდომარეობით. წევრებად მიწვეულნი არიან: მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი დ. ს. ს. უსტრუგოვი; ვიცე-გუბერნატორნი: ერევნისა—თ. ნაკაშიძე, ტფილისისა კ. სოვ. ალიშევსკი; საგლეხო საკრებულოთა წევრნი: დ. ს. ს. ვეიდენბაუმი და ს. სოვ. კლეშჩინსკი; ნუხის მაზრის უფროსი ს. სოვ. ასანიძე, ახალციხის მომრიგებელი შუაკაცი კ. სოვ. ყიფშიძე; ვიცე-დირექტორი მთავარ-მართებლის კანცელარიისა ს. სოვ. მაქსიმოვი და საქმის მწარმოებელი ამავე კანცელარიისა ნ. სოვ. სლოვინსკი. კომისია ამ დღეებში შეუდგება საქმეს.

აბასთუმნის ექიმმა ი. ზ. გოპაძემ შესწირა 25 მან. რუსთაველის ძეგლის ასაგებად ს. რუსთავში.

ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ერევნის ვიცე-გუბერნატორი თ-დი მ. ა. ნაკაშიძე.

ბათომიდგან გაზეთ „კავკა-ს“ ატყობინებენ, რომ ბათომ-ახალციხის გზა-ტკეცილზე დიდი თოვლი დაუდვია და მიმოსვლა შეწყვეტილა კოდორის გადასავალზედ.

ქალაქის სამმართველოს განუზრახავს შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რომ ქალაქის მესამე საობლიგაციო სესხიდგან 215,000 მანათი მეორე მილის გაწყობას მოახმაროს ქალაქიდგან ავჭალამდე, რომ მეტი წყალი გამოიყვანოს; რადგან ეს მეორე მილი მეტს წყალს გამოიყვანს და ამით 100,000 მანათი შემოსავალი მოემატება ქალაქს, ვალის გასტუმრება არ გაუძნელდებაო.

რედაქციამ მიიღო ორი ახალი წიგნი რუსულ ენაზედ: 1) ბ-ნ თოფურიას სამკურნალოს 12 წლის მოქმედების ანგარიში—**Краткій медицинскій отчетъ о 12-лѣтней дѣятельности больницы С.-М. В. Топуріа въ г. Кутаисѣ;** 2) ა. ი. საჰაკოვისა «ერობის სამმართველოს დაარსების შესახებ ამიერ-კავკასიაში“—**О необходимости введенія земскихъ учрежденій въ Закавказьѣ.**

რედაქციამ მიიღო აგრეთვე ახალი ქართული წიგნი ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ და გამოცემული მაღალ-ყოვლად უსამღვდელოეს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს მიერ. წიგნში სამასამდე გვერდია და ღირს 1 მანეთი. ამ წიგნის შინაარსს შემდეგ განვიხილავთ.

გუშინ, 6 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეატყობინა ვაჟთა პირველ გიმნაზიის დირექტორს, რომ გამგეობამ ი. ს. აბესალომოვის სახელობის სტიპენდიანტად გარდაცვალებულ ძიძისტარაშვილის ნაცვლად დანიშნა მოსწავლე შალვა გოდერძიშვილიო.

როგორც ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის მიერ შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, სასწავლებელს ვალად ჰქონია 7044 მან. სახელოსნო სასწავლებლის საწყობში დამზადებული სხვა-და-სხვა ნაწარმოები ჰქონია 7521 მანეთისა, წლის დამლევამდე სასწავლებელს სახარჯოდ დასჭირდება 4790 მან. ასე რომ, დეფიციტი სასწავლებელს მოელის წელს 7334 მანეთი და 40 კაპ. სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი აცნობებს ყოველსავე ამას გამგეობას და სთხოვს, გადასდოს ფული დეფიციტის დასაფარავად.

ლონდონელ სომეხთა მკვლელი.

«მოსკოვის უწყების» მე 294 №-ში, სხვათა შორის, გადმობეჭდილია გაზეთი «la patrie-დგან შემდეგი ცნობები სომეხთა ანარქისტებისა: სომეხნი, რომელთა სასარგებლოდ ბევრნი სცდილობდნენ მიემხროთ ევროპის საზოგადოების აზრი, მტერნი არიან სოციალურ წეს-რიგისა—terribles bandits—საზარელი ავაზაკნი.. ამას გარდა მათ შორის, როგორც პოლონელთა შორის, დიდი განხეთქილებაა, არა აქვსთ ერთი პირი და არ ერიდებიან არავითარ მხეცურ საშვალებას. აი ზოგიერთი მათი მოღვაწეობა ლონდონში: პოლიციას შეტყობილი ჰქონდა, რომ იორჯიანჯი, რომელმაც მოჰკლა მემამულე კასისი და 5 ნოემბერს თავი მოიკლა, იყო ეგრეთვე მკვლელი საკუნისა. პოლიციამ დაწვრილებით გაიგო მისი წინანდელი ცხოვრება, აღმოჩნდა, რომ მთელ დედა-მიწის ზურგზედ არც ერთ პოლიტიკურ აგიტატორს არ ჩაუდენია იმოდენა ავაზაკობა, რაოდენიც მას.. იდუმალ „ალფვერისტების საზოგადოებისაგან იგი იყო აღმორჩეული აღმასრულებლად მის განაჩენებისა. საკვირველი ენერგიის პატრონი იყო და ჩინებულ მსროლელად ითვლებოდა. რევოლვერის ტყვიით ჰკერში ფრინველ'ს ჰკლავდა თურმე. ყოველ გვარი უკანასკნელ დროს გამოგონილი თოფ-იარაღი ჰქონდა. როგორც მის გვამის შემოწმებიდან აღმოჩნდა, არა ერთხელ ყოფილა იგი განსაცდელში, რადგანაც მისი სხეული აჭრელებული იყო მრავალ ჭრილობითა და ამომწვარი, ალბად, რომელისამე საწამლავ სიმჟავითა. ლოყაზედ ცხადად ეტყობოდა ხანჯლის ჭრილობა. დაახლოებით 48 წლისა უნდა ყოფილიყო.

უკანასკნელ მსხვერპლთა შესახებ დაწვრილებით შემდეგს გვატყობინებენ: ნიუ-იორკის ანარქიულ კლუბმა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს იდუმალ «ალფვერისტების» საზოგადოებასთან, გარდაუწყვეტია ოთხი ლონდონში მყოფი სომეხი სიკვდილით დაესაჯა და განჩინება სისრულეშიაც მოუყვანია. პირველი მსხვერპლი საკუნი იყო.

იორჯიანჯი დაიბადა რუსეთში და ვაჭრობდა. შემდეგ საზღვარ გარედ წავიდა და ანარქისტად გადიქცა. რათა დასწრებოდა საკუნის დასაფლავებას, შეიძინა ახალი ტანისამოსი და გვირგვინითაც-კი შეამკო თავის მსხვერპლის—საკუნის კუბო. დანარჩენ მსხვერპლთა ვინაობაზე პოლიცია არას ამბობს, გარდა იმისა, რომ სომეხნი არიან. ერთის შესახებ მხოლოდ ამ გვარი ცნობაა:' «სომეხია, 32 წლისა, ფრიად განათლებული».

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

სოფ. ზვარე, შორაპნის მაზრა. ეს სოფელი სძევს რკინის გზის სადგურ წიფას მახლობლად. ჰაერი ამ სოფელში საუცხოვოა. თუ ამ სოფელმა საავარაკო ადგილის სახელი აქამდე ვერ მოიპოვა, ეს იმიტომ, რომ მცხოვრებნი დაუდევარნი არიან. ვინ იცის, რამდენი სიმდიდრე ბუნებისა არის დამარხული მიწაში.

ამ ორის წლის წინად ადგილობრივმა აზნაურებმა ძმ. ტიმოთე და სევასტი კორძაიებმა შენიშნეს, რომ მათ მამულში რაღაც წყალი ჟონავდა. წყალი წაიღეს ქუთაისსა და ქიმიურად შეამოწმეს. აღმოჩნდა გოგირდის წყალი, რომელიც უებრად ჰკურნავს ათას გვარ ავადმყოფობისაგან. ბ-ნთ კორძაიებმა ააგეს მშვენიერი, სუფთა აბანო, გაიყვანეს სწორე გზები და ახლა მრავლად აწყდებიან ავადმყოფები... ავადმყოფთ შეუძლიან საჭმელი აქვე იშოვონ ძალიან იაფად... უნდა ვიფიქროთ, რომ ბ-ნ კორძაიების დიდი ხარჯი და წვალება მუქთად არ ჩაივლის და ყურადღებას მიიქცევს ავადმყოფებისას... ერთხელ ბანაობა ამ აბანოში ჰღირს 20 კ.; ვისაც რამდენიმე ხანს უნდა დარჩენა, მათთვის მოიპოვება ოთახებიც.

ს. ადარძე.

—

ქ. გორი. კორესპონდენტი' რჯულს გეფიცებით, რომ არ მინდოდა ამ ჩემი ქვეყნის ნაკლებულობა კიდევ გამომეფინა გაზეთის ფურცელზედ, მაგრამ რას იზამ, როდესაც ჩემი ადვირ-მიშვებული მკრანი მოსვენებას არ მაძლევს და მეც იძულებული ვარ ადვასრულო მისი სურვილი.

მოგეხსენებათ, უსაქმურის კაცის საქმე; 'თელი ვითარება მისი მარტო ერთი დაუსრულებელი ხეტიალია, სხვა არაფერი. მეც ამ უსაქმურად მოხეტიალე დესის წევრი გახლავართ. დავდივარ, დავხეტიალებ და ჩემს ცნობის-მოყვარე ცხვირს ხან აქეთ მივატრევ და ხან იქით. აი ერთი ამ ნაყოფიერ ხეტიალის დროს, გორის ტაძრის სასხლოვეს, კედელზედ შემდეგი სიტყვები წავიკითხე. „Горійская народная безплатная библіотека-читальня". გორში?.. სამკითხველო?.. განცვიფრებაში მოვედი ამ მოულოდნელ ამბავით და წამოვიძახე: ჰნახავ თუ თხამ მგელი არ დაიჭიროს? ამის თქმა იყო და ჩემმა მკრანმა ვირამალა შემაგდო სამკითხველოს ოთახში.

— აქა მშვიდობა! აგაშენოთ, უეცრივ რამდენისამე მკითხველის ხმა გაისმა.—«სუ»... «სუ»..., რომელნიც თავ-ჩაღუნულნი გაფაცეცებით ადევნებდნენ თვალს გაზეთის სტრიქონებს. მეც ხმა ჩაწყვეტილი, ცერებზედ დგომით მივედი და დავჯექ სკამზედ სტოლის ერთ კუთხეში \ შემდეგ მივიხედ-მოვიხედე, გადავავლე სტოლს თვალი, სადაც აურებელი გაზეთები ეყარა, თვალები ამიჭრიალდა, გონება აირ-დაირია და ტვინი ადუღდა; რომ სათითაოდ ჩამოვთვალო, რაც იქ გაზეთები იყო, დღევანდელი «ივერია» მარტო ამ ჩემ ფუქსავატ კორესპოდენციას მოუნდებოდა, მაგრამ მკითხველი საყურადღებოდ მაინც რამდენსამე გაზეთს დავასახელებ: „მოსკოვსკია ვედომოსტი", „რუსსკოე ჩტენიე", «დუხოვნი ვესტნიკი», «რუსსკი პოლომნიკი», «როდნიკი», «მშაკი», და სხვა; ვინ მოსთვლის, რამდენი ამისთანა?!

ვათვალიერე, ვათვალიერე აქ ქართული გაზეთები, მაგრამ რას ეძებ, რა დაგკარგვია!.. მარტო «ცნობის-ფურცლის» და „ჯეჯილის" მეტი აქ არა ჩანდა რა და ამით გაკვირვებულმა მივმართე ჩემ გვერდზედ მჯდარ უცხო უმაწვილს.—განა სამკითხველოს სხვა ქართული გაზეთები არ მოსდის? მან მიპასუხა. «ცნობის ფურცელს» უჩინმაჩინის ქუდი ჰხურავს და ჩუმად შემოიპარება ხოლმე, «ჯეჯილი» კერძო კაცის შემოწირულია, «ივერია» და სხვა ქართული გაზეთები არ მოგვდის». მე თავი ჩავღუნე, მინდოდა ჩემის მკრანით გავფრენილიყავ აქედგან, მაგრამ ჯერ კიდევ თავი შევიმაგრე.

ქალაქმა სამკითხველოსათვის ათი თუმანი გადაიხადა ჯერ-ჯერობით და შემდეგ კიდევ ჰპირდება. სამკითხველო გამართულია სამრევლო სკოლის ოთახში. რამდენიმე კაცი და ქალი რიგ-რიგად მორიგეობენ, მოსამსახურე ბიჭისა და სხვა წვრილი ხარჯები იმდენად შეუმჩნეველია, რომ სათქმელიც არ არის, ასე რომ ეს ათი თუმანი მარტო გაზეთებს მოხმარდა, რადგანაც გარეშე ხარჯები სამკითხველოს ჯერაც არ გადაუხდია. ნეტა ვიცოდე, რომელის «დეკადენსა»-ურის აზრით ხელმძღვანელობდა სამკითხველოს გამგე, რომ ამდენ უცხო გაზეთებში, ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის დაიწყებისათვის მიუცია სხვა ქართული გაზეთები და მრავალი ქართული წიგნები. განა ჩვენ უცხო გაზეთები შეგვიძლიან გამოგვაღვიძოთ აქაური ღრმად მიძინებული ეროვნული გრძნობა?.. ან ვინ არის აქ ამ უცხო-გაზეთების მკითხველი? ადგილობრივი მცხოვრებთაგანი მხოლოდ ასში—ორია.

სტუმარი

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ,

თქმული ქიზიყის ბლაღოჩინ კირილე ღვთისავარიშვილის მიერ 19 ოკდომბერს 1903 წელსა დიმიტრი ნადირაძის (მაჩხანელის) დასაფლავებაზედ.

შეუწყნარებელმა და ულმობელმა სიკვდილმა უდროვოდ გამოასალმა წუთის სოფელსა ყველგან და ყველასაგან კარგად ცნობილი, გამჭრიახი, სამაგალითო მოღვაწე, მნათობი ჩვენის ქიზიყისა, ჯერ ისევ ახალგაზდა დიმიტრი მიხეილის ძე ნადირაძე (მაჩხანელი).

ის, რომელიც აგერ გუშინ თავის დაუღალავი, განუწყვეტელი და ბრწყივალე შრომა-მოქმედებით მოძმეთა და სამშობლოს სასარგებლოდ გმირობდა,—რომელიც ფრიად პატიოსანი, სპეტაკი და ზნეობრივის ცხოვრებით განთქმული იყო ჩვენში, რომელიც, დასასრულ, იყო საუკეთესო მამულიშვილთაგანი, გამჭრიახი, დიდ ბუნებოვანი არსება და სიამაყე ჩვენის კუთხისა,—დღეს, სამწუხაროდ მშობელთა, ნათესავ-ნაცნობთა, მეზობელთა სამშობლოისა და მცირე გუნდოვან მწერლობისა და ლიტერატურისა,—უხმობელად და უსულოდ მდებარე არს წინაშე თვალთა ჩვენთა!

ვისაც აქვს ყურნი სმენად, თვალი ხედვად, გრძნობა დაუხშველი, ჭკვა-გონება პირუთვნელი მსჯავრის დასადებად, ღრმა ჰაკვირვება-შეგნებით წარმოიდგენს და გაითვალისწინებს განსვენებულის პიროვნებას, მის ღვაწლს, მის სულიერ შემკულობას და ძლიერებას,—მის ფრიად საგულისხმო და სამნიშვნელო მიმართულებას, ვინც მოიგონებს მის მოძღვრებას მას ზედა, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება,—აღვადგინოთ შერყეული, შესუსტებული ორგანიზმი ჩვენის ერთობისა, ვინაობისა, სანეტარო, სასურველის კეთილდღეობის მისაღწევად,—იგი არ შეიძლება არ ატირდეს, არ შეკრთეს-შეძრწუნდეს და გულის სიღრმიდგან, ტკივნეულად, ნაღვლიანად და დიდის მწუხვარებით არ ამოიოხროს და არ დაინახოს დიმიტრის მოულოდნელად ხელიდგან გამოცლა, მისი სამუდამოდ დაშორება!

მოკვდა დიმიტრი, მაგრამ მოკვდა იგი მარტო ხორციელად და საქმენი მისნი, რომელნი მრავალნი არიან და ყველასათვის ცხადზედ-უცხადესნი და რომელთა ჩამოთვლა აქ შეუძლებელია,—არ მოკვდარან და არც მოკვდებიან საუკუნოდ.

ოხ! ძვირფასო დიმიტრი! შენს მიკრთონობილს, გაციებულს სახეს პირდაპირ დამყურეს მე გული მევსება წყლულით, ბოღმა-გოდებით და მწარე, შეაშფოთებელი ფიქრები მებადებიან თვალწინ, არ მასვენებენ, მაღელვებენ. ან-კი რომელს ჩვენის ერის ჭეშმარიტად მოსიყვარულე ქართველს არ ათრთოლებს შენი დაკარგვა, შენ მიერ დაწყებულის, დიადის დაუსრულებელის აზრების შეწყვეტა! ოხ! აქ ნამეტანია გრძნობა და აკი ამისთვის ბაგენიც ღაღადებენ.

ბევრი გააკეთე დიმიტრი, მაგრამ შენგან, როგორც ნიჭიერის ახალგაზრდა კაცისაგან, კიდევ ბევრის კეთილის გაკეთებას მოველოდდით და შევესწრობოდით კიდეც, რომ ბედს ჩვენთვის არ ეღალატნა. რამდენი გულმხრვალე და გულწრფელი აზრები, ნამეტურ ამ ბოლო ხანებში, გადმოგიცია ჩემთვის: ჩვენს სამების ეკკლესიის მახლობლად დავაარსოთ კვირეული, ანუ თვიური ბაზარი ქიზიყის ნაწარმოებისა გამოსაფენად და გასასყიდათ. გავაშენოთ ბაღი სამების ახლად შემოვლებულს მართულებით ზღუდეში. შეაერთეთ მაჩხაანის ორთავე ეკკლესიების (სამების და 40 მოწამეთა) შტატებიო, რათა წირვა-ლოცვა და გალობა სრულდებოდეს მომეტებულის დიდებით და მწყობრად და მით მივიზიდოთ გულგრილი ხალხი ეკკლესიაში სალოცავათაო. დაწყობილი საქმე მნათესავით გალობის მასწავლებელის მოწვევის შესახებ ნუ მიაძინეთო. სასულიერო წიგნთ-საცავისთვის წიგნები შევაძინოთ, ხელის მოწერა გავმართოთო, ზოგიერთა ჩვენს სოფლელებს, როგორც შეუპოვართ და დაუდევართ, ავხადოთ გადაფარებული, უმეცრების ზეწარიო, გამოვაფხიზლოთ და გავაფრთხილოთ, რომ სულიან-ხორციანად არ ჩაგვყლაპონ ჩვენმა დაუპატიჟებელმა მსუქანმა სტუმრებმაო. ახლად მოვლინებული ჩვენს მაზრაში მოღალატე იუდა-ჯაშუში საჯაროთ შევარცხვინოთ, ან განვდევნოთ ჩვენგან, ან არა და ჭეშმარიტს გზაზე მოვაქციოთ, გავასწოროთო.

გულმოდგინედ სცდილობდი შენი სამშობლო სოფელი დაგეწინაურებინა, მისი დამახინჯებული, უფერული ცხოვრება გაგესწორებინა. მედგრად ებრძოდი უსამართლობას, ბოროტებას. შენი დაუფერებელი პირში თქმა, სამართლიანი რიხიანი სიტყვები ბევრს მოხელეს თავის მზაკვარობით აჭრელებულს გულში ლახვარივით დაესმია. ამისათვის ბევრს ეჩოთირებოდი, ბევრი გმტრობდა, ცილს გწამებდა, იყავ დევნული სიმართლის თვის, მაგრამ შენ არავის წინაშე არ იდრეკდი თავს და პირ-იქით უშიშრად, უფრო მეყაითად ამხნევებდი—ამაგრებდი, არიგებდი მსმენელთ—მაჩხაანელებს,—რომ იგინი გაძლიერებულიყვნენ, განათლებულიყვნენ სულიერად, რომ მათ, შედარებით სხვებთან, ნივთიერად დაძაბუნებულთ შეეძინათ მეტი სარჩო-საბადებელი, მეტი სიმდიდრე, რადგან შენ, შორს-მჭვრეტელო მგოსანო, ნათლად და მკაფიოდ გქონდა ჰეგნებული ის აზრი-დებულება, რომ სადაც ნივთიერი შეძლებაა, მატერიალური ძალაა საშუალება და სახსარი, იქ მალე იღებენ სწავლა-განათლებას და ზნეობრივათაც ვითარდებიან და, სადაც სიღატაკე, უქონლობაა, იქ გონებითაც ბნელნი არიან, ქვეითდებიან და ხშირად სავნებელ უმეცრების უფსკრულისკენ მიისწრაფვიან!

რამდენს „ძმურის სიტყვასავით" საუნჯეს, თხზულებას შეგვმატებდი, რომ თავისუფალი ჰყოფილიყავ ზრუნვისაგან ლუკმა-პურისთვის, უდიერის შავის მუშაობისაგან და გქონოდა ნივთიერი შეძლება, მცირეოდენი საზრდო!

ოხ! როდის შეიგნებს ჩვენი ქართველობა, რომ შეერთებულის ძალით უნდა ვკაფოთ ეკლიანი ზოგადი სიკეთის მოპოვებისთვის! როდის იქნება, რომ თავადაზნაურობამ, სამღვდელოებამ და გლეხობამ აღამაღლონ დროშა ურთიერთა სიყვარულისა, გაცნობისა და ერთობის, ძმობის ტაძარს ემსახურებოდნენ, თაყვანსა სცემდნენ. როდის იქნება ცხვარი და მგელი უვნებლად ერთად ებნენ! როდის იქნება მტკიცეთ, შეურყევლად შევიგნოთ, რომ უნდა იყოს ერთი ყველასათვის და ყველა ერთისთვის: ერთმა არ მოინდომოს მეორისთვის ის, რაც თავის თავისთვის არ უნდა! როდის იქნება, რომ მხნელს,

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲮᲘᲓᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ

(ამბავი რკინის გზის ცხოვრებიდამ)

III

(შემდეგი *)

სოფ. ნ—ძირს ამ ოცის წლის წინ ყველაფერში გამოწყვეტილს სოფელს ეძახდნენ მახლობელს სოფლებში მცხოვრებნი. „რა სოფელია ნ—ძირიო; დღეობა იქ არ იცის; აქაურის სახლში კაცი პურს ვერ შესჭამს. უდღესასწაულო სოფელი რა სოფელია?! ი დალოცვილები სხვა სოფლებში მადიანად გამოძღებიან ხოლმე პურ-ღვინით და იმათ სახლში-კი ლუკმას ვერ შესჭამს ადამიანი"... სოფ. ნ—ძირი-კი დღეობას გაურბოდა და არ სუროდა მეტი ხარჯი ჰქონოდა უიმისოდაც დაღარიბებულს. სოფელში მოსავალი რიგიანი არ მოდის. მიწა მწირია, და რომ რკინის გზა და ქვისა და ხე-ტყის წარმოება და კირის წვა არ გაჩენილიყო, სოფლელთ შიმშილი და ან სხვაგან გადასახლება მოელოდათ. ხსენებულ სოფლის ახლო მდებარე სოფლებში ზედიზედ ორი შტატის ეკლესია დაიკეტა უვარგისობის გამო და ყოველს კვირა-უქმე დღეებში ამ სოფელთა მცხოვრებნი დადიოდნენ ნ—რის ეკლესიაში. ერთხელ პეტრე-პავლობის დღეს მრავალი ხალხი მოაწყდა ამ სოფელს. სოფლელთ შერცხვათ მათი უპატივცემულოდ გაშვება და მიიპატიჟეს თავთავისი ნაცნობ-მონათესავეები სახლში. წინა წლის მოსავალიც ხელს უწყობდა ამ საქმეს: ღვინო, პური და სიმინდი გლეხებს ბლომად ჰქონდათ. ცოტა ხანს იქით ნასადილევს სახლებიდამ შეზარხოშებულთა სიმღერის ხმაც გამოისმა; სამხრობის ჟამს სოფლელთ გამართეს ცეკვაობა ეკლესიის ეზოში დიდი ცაცხვის ხის ქვეშ. ესრედ გადადგმულ იქმნა პირველი ნაბიჯი ნ—ძირში დღეობის დაწესებისა. პეტრე-პავლობა მართლაც აგრე გვარად არ არის გახშირებული ამერ-იმერეთში... მეორე წელიწადს ათჯერ მეტი ხალხი მოვიდა ამ სოფელში ამ დღესასწაულზე; ახლაც ღვინო და პური ბლომად ჰქონდა ხალხსა. სიმღერა, ცეკვა, ჭიდაობა ამ წელსაც იყო, ნელნელა, მოულოდნელად შეეპარა დღეობად პეტრე-პავლობა... მესამედ რომ დგებოდა პეტრე-პავლობა, ახლად გათხოვილი ამ სოფლიდამ ქალები ამ დღეობისათვის აპირებდნენ „ფეხის მობრუნებას", ანუ გათხოვების შემდეგ პირველად მოსვლას მშობლების სახლში; სხვა სოფელში მცხოვრები ნათესავებიც უთვლიდნენ ამ სოფლელებს, პეტრე-პავლობას გნახავთო, ნაცნობებიც ამასვე ამბობდნენ: ნ—ძირში საპეტრე-პავლობოდ წავალო; ცოლი ქმარს ეხვეწებოდა მეზობელს სოფელში: საპეტრე-პავლობოდ კაბა მიყიდეო. ამ წელსაც, რა წლის ამბავსაც მოგახსენებთ, პეტრე-პავლობას დიდძალი ხალხი შეიკრიბა ნ—ძირის ეკლესიაში, ასე რომ ტევა აღარ იყო; მთელი დიდი ეზოც ეკლესიისა სავსე იყო ხალხით. რკინის გზის მუშებიც მოვიდნენ წირვის მოსასმენად და დღეობის სანახავად: რუსი, ქართველი, ბერძენი, სომეხი, ოსი, აისორი, ნემეცი, ესტონელი და სხვა... აქ გახლდა კირილეც. წირვის გათავების შემდეგ, სანამ ცეკვას გამართავდნენ დიდი ცაცხვის ქვეშ, კირილეს ყურადღება მიიქცია ბერძენთა ჯგუფმა, რომელიც გარეშემოხვეოდა ერთს ქვის ძეგლით შემკულს საფლავსა ეკლესიის ეზოში. ბერძნები ადგილობრივს მღვდელს მამა ევნატეს პანაშვიდს ახდევინებდნენ ქართულად გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად. კირილე ბერძენთა ჯგუფის შორი ახლოს დადგა და ერთს ადგილობრივს გლეხს ჰკითხა:

— ძმობილო! პანაშვიდს ვის უხდიან?!

— მკვდარსა...

— ეგ ხომ მეც ვიცი, რომ მკვდარს უხდიან პანაშვიდსა. რომელს მკვდარს უხდიან პანაშვიდს,—ამას გეკითხები.

— აი იმასა, საფლავში რომ მარხია!

— მაშ მიწის ზემიად ხომ არ იდება მკვდარი!! ვინ იყო ის?!

— რკინის გზაზე იყო მწერლად.

— თათარი იყო, ბერძენი, თუ ქართველი?

— ბერძენი იყო, მოჰკლეს. ცოლშვილიანიც იყო თურმე.

— ვინ მოჰკლა?

— აი დიაკვნის ბიჭმა ღვთის მშობლობა დღესა. ახლა ის დაჭერილია. კაი ბიჭია, ზორბაა... მარამა... ამ ჩვენს ღვდელს რო ბიჭი ჰყავს, იმითანა ვერ არის. ოცი კლას'ი გაათავა; ქუთაისი გაათავა, ქალაქი გაათავა და ახლა რუსეთს ათავებს. კაი ბიჭია!! თურმე ხემწიფესთანა ზის, მასთან სჭამს, სვამს და სძინავს. სახელმწიფო ხარჯზე ყოფილა!

— მაშ, დიდი ნასწავლია! მაგითანა ნასწავლი ამ ღუბენიაში არ არის. აი ჩვენი რკინის გზის მაჭიერი ხომ ნასწავლია, მაგრამ ღვდლი ბიჭთან ვერ მოვა. რაც მართალია, მართალია!!. სიცრუვე ცოდვაა.

— ბერძნები სამარეს გაშორდნენ. კირილე-კი მივიდა სამარესთან. მწარედ ჩაფიქრებული. „მე საცოდავო! საიდგან სად წამოსულხარ ბედის საძებრადა და სად მოსპობილა შენი სიცოცხლე!! ვინ იცის, რა რიგ იტანჯებიან შენი პატარა ბალღები, მოშორებულნი შენს მზრუნველს ხელსა! მე საცოდავო, ნუ-თუ, როცა შენს ცოლშვილს შორდებოდი, ეს დღე გქონდა წარმოდგენილი?! მართალი, რომ სიკვდილი ყურს უკან აქვს კაცსა"!!. კირილე სამარეთა გროვამ ისე გაიტაცა, რომ მათი თვალიერება დაიწყო: სამარის ქვებზე წარწერები წაუკითხავი არ დაუტოვებია... აი აგერ მეორე სამარე ბერძნულის წარწერით,—აი მესამე უნტერ ოფიცრის ცოლისა რუსულის წარწერით, აი მეოთხე სამარე —სომხისა,—აი აგერ მეხუთე სამარე—ქართული წარწერით და სხვა... „აქ ეს რამდენი სამარე ყოფილა გარეშე სოფლებიდგან მოსულთა!!. აქამდინ-კი არ დავკვირვებივარ!! მათთვის საფლავი გაუთხრიათ ერთად ამ პატარა ცაცხვის ქვეშ!.. კიდევაა დარჩენილი ადგილი აქვე სხვებისთვის... აი ეს კიდევ ახალი სამარე გუშინ წინ ანაზდად გარდაცვალებულის ბერძნისა!.. განაპირას, ბუჩქის გვერდით, ნეტავი ვიღაა დამარხული?!. ჰო, ის ხომ მეკრელია, კლდემ რომ დაიტანა... ვინ იცის, მე ცოცხალი დავბრუნდები თუ არა დედმამის სახლში!! ყოველს წუთში მეც მოველის რაიმე ხიფათი, ისეთი საძნელოა ჩვენი სამუშაო.

ამ ფიქრებით რომ იყო გართული, გაჩაღდა უკვე ცეკვა. ცეკვავდნენ ადგილობრივი ახალგაზდა ვაჟები და ქალები. კირილე მიუახლოვდა მოცეკვავეთა და ერთის სამარის ქვაზე დაჯდა, ერთი ნაცნობის გლეხის გვერდით.

— მარკოზ, როგორ ბრძანდები?

— რაღა როგორ, ჩემო კირილე, გავტყავდით ამ დღეობით... გავტყავდით... მოსავალი ჩვენში აღარ მოდის... დღეობის თვის ბევრს სტუმარს მოველოდით და ვიყიდეთ ორი საპალნე ღვინო,—ექვსი თუმანი მივეცით... ჩემი შვილის ოთხი თვის ნამუშავარის ფული ღვინოში წავიდა... ეხუმრები!! ძალათი ჩაგვაჩეჩის ეს დღეობა... რას იზამს კაცი?! ექვს თუმანს გარდა, ხუთი მანეთის პური ვიყიდე, ერთის თუმნის საკლავი; ახლა სიმინდი წავა სამიოდე მანეთისა... დღეობა გლეხკაცს ზარალის მეტს არას აძლევს, ჩემო კირილე! გავნიავდით... არ ვიცით, რა მოვუხერხოთ, რა მოვაგვაროთ, რომ მოვსპოთ ეს დღეობა?!

— ჩემო მარკოზ!.. ეგ ადვილი საქმეა. შეგროვდით მამასახლისთან აქ სოფლის გლეხები და დაადგინეთ განაჩენი დღეობის მოსპობის შესახებ...

— ახლა სხვა ხარჯს აღარ იტყვი?! შინ ქალების და ვაჟების მორთვას მოუნდა სულ უკანასკნელი სამი თუმანი. ერთმა თქვა: ახალი კაბა მინდაო, მეორემ—ახალი ფეხსაცმელიო, მესამემ—ახალი ქუდიო, მეოთხემ ახალი ქამარიო... და წაიღეს ტვინი... ზარალი და გასავალი დიდია და შემოსავალი-კი ცოტა,—განაგრძო მარკოზმა.

ამ დროს მღვდელს მიუახლოვდა ერთი მეგრელი, კირილეს ნაცნობი, სამინისტრო სკოლის მასწავლებელი. ის გახლდათ ძმა ზემოდ დასახელებულის მეგრელისა, რომელიც კლდეს ქვეშ მოჰყვა რკინის გზის კეთების დროს და რომელმაც სამუდამოდ თავი შეაფარა აქ, ცაცხვის ქვეშ, შორს თვის სამშობლოდამ. მღვდელმა გულდადებით პანაშვიდი გადაუხადა მონასა ღვთისასა, უდროვოდ გარდაცვალებულსა კვიპრიანეს.

---

*) იხილე „ივერია", 238.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზის მაჩვენებელს ლამპარს, მწერლობას და მის გაძლიერება-გაფართოებას ხელი შეუწყონ! როდის იქნება, რომ დაარსოს ქართველობამ ისეთი სამუდამო, ღონიერ ფესვებ სიღრმე-სიგანით გადგმული ფონდი, რომლის შემწეობითაც ინახებოდნენ ჩვენი ხელ-მოკლე გაჭირებული მწერლები; იკრიფებოდნენ ჩვენის სამშობლოს სხვა-და-სხვა კუთხიდან ნიჭიერნი, ბუნებით დაჯილდოებულნი გონიერნი მუშაკნი, რომელნიც ვითარცა ხელშეუწყობელნი მაწუხებლის სიღარიბის ტალღაში ჩაბმულნი და შთანთქმულნი, ვერ ხმარობენ-ავითარებენ ღვთისაგან მინიჭებულს ქანქარს, ვერ ემსახურებიან ღირსეულად თავის სამშობლო ქვეყანას და კაცობრიობას.

ოხ! რა გაიხარებს ჩვენი საყვარელი დიმიტრი—იმ ვრცელს სოფელში მყოფი, ოდეს ქართველობა შექმნის ძლიერს, ზემოხსენებულს ფონდს, რომლის ჩრდილის ქვეშ შეკრეფილ იქმნებიან ყვავილნი და წინამძღოლნი ივერიისანი!

საქმე და მაგალითი უცხოველესია სიტყვაზედ. დღეს დიდძალ ხალხს, განურჩევლივ წოდებისა, სქესისა და მდგომარეობისა მოუყრია თავი განსვენებულის დასაფლავებაზედ დასასწრებლად, მასთან უკანასკნელად გამოსამშვიდობლად, სალამის მისაცემად.

ვისაც გვსურს რომ კვლავაც ვიყვნეთ ნამდვილად წმიდის გულით და სულით პატივის მცემელნი დიმიტრისა, ფიცით დავსდოთ მტკიცე აღთქმა-პირობა, რომ მუდმივ ვასრულოთ განსვენებულის მცნება-გადმოცემანი. მისი უკვდავი სახელი მარად სახსოვრად ოქროს ასოებით დავიწეროთ გულის ფიცარზედ.

თუ ღმერთმა არ მოგვიძულა, არამედ გადმოგვხედა და ახლო მომავალში მოგვივლინა ქიზიყელებს „მაჩხანელები“, მათ მოღვაწეობას ხელი შევუწყოთ, ერთგულად მივბაძოთ მათს მისწრაფებას და რაც ეხლა დიმიტრის დავაკლდით ჩვენდა საზარალოდ, ვაწყენინეთ, ვერ დავაფასეთ, სამაგიეროდ ერთი-ათასად მათ გადავუხდით.

აქ მრავალვნებულო და გაუხარელო დიმიტრი, გახაროს ყოვლად მოწყალე უზენაესმა არსებამ ზეციურს ცხოვრებაში, მოგანიჭოს სულიერი სიმშვიდე და დაგამკვიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

უცხოეთი

იაპონია. შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა ვითარების შესახებ გაზ. „დეილ ტელეგ.“-ს ატყობინებენ ტოკიოდგან 12 ნოემბრის თარიღით (ახ. სტ.): „გუშინ გარეშე საქმეთა მინისტრ ბარონ კომურასა და რუსეთის ელჩს ბარონ ფონ-როზენს მოლაპარაკება ჰქონდათ, რომელმაც მხოლოდ რამდენსამე წამს გასტანა“.

გაზ. „დეილ მაილ“-ს ატყობინებენ ტიანძინიდგან: „იუნ-შიკაიმ აცნობა მთავრობას, —45,000 ჯარის კაცი მყავს მზად მანჯურიის დასაჭერადაო“.

შან-ჰაიდგან ატყობინებენ გაზ. „დ. ტ.“-ს, —იუნ-შიკაიმ და გენერალმა მამ აცნობეს მთავრობას, —მომავალ კვირისათვის მზად ვიქნებით მანჯურიაზე გავილაშქროთ რუსების წინააღმდეგაო“.

საფრანგეთი. კლერიკალები და მელინის მომხრენი დიდად აღელვებულნი არიან ფალლუს კანონის შესახებ სენატორ ქირარის მიერ წარდგენილ შესწორების გამო. ქირარის წინადადებით, იმათ, რომელთაც კდემა-მოსილობისა და სიმდაბლის აღთქმა აქვთ დადებული, ნუ მიეცემათ ნება თავისუფალ სწავლებისაო.

ეს წინადადება ქირარმა უფრო იმ აზრით შეიტანა, რომ მთავრობის მომხრე ჯგუფნი უფრო ადვილად შეთანხმებულიყვნენ, მაგრამ, როგორცა სჩანს, მიზანს ვერ მიაღწია. კლერიკალები ამბობენ,—ეს იმას მოასწავებს, რომ პროტესტანტებსა და ებრაელებს მიეცეთ უპირატესობა კათოლიკეთა წინაშეო.

„ჟურნ. დე დება“ და ოპოზიციის სხვა გაზეთობა იმედოვნებს,—იუსტიციის მინისტრი ზიზღით უარ-ჰყოფს იმ წინადადებას, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება მის კანონსაო.

გაზეთი „ტამს“-ი, რომელიც მუდამ კომბის სამინისტროს წინააღმდეგი იყო, ახლა ელაქუცება მინისტრ-პრეზიდენტსა და სწერს, —კომბი არ მოიწადინებს, რომ გონიერ სახელმწიფო მოღვაწის სახელი გაიტეხოს და ასეთ წინადადებას მისცეს მხარიო.

— პარიჟში მყოფ ინგლისის ელჩს მონსონს განუცხადებია ნადიმზედ საელჩოში,—ინგლისის დედოფალს განზრახვა აქვს ამ ახლო მომავალში პარიჟი ინახულოსო.

ამნაირად, გამართლდა ის ხმები, რომ ალექსანდრა დედოფალი პარიჟის ნახვას აპირებსო.

პარიჟი დიდის ამბით უპირებს დახვედრას ინგლისის დედოფალს. სხვას გარდა განზრახვა აქვთ გაუმართონ დიდებული ნადიმი, რომელსაც მხოლოდ მანდილოსნები დაესწრებიან. ამ ნადიმზედ მოწვეულნი იქმნებიან ბანოვანნი საფრანგეთის ყოველ მხრიდგან.

ნარკვევი

წარსულ ოკტომბრის 30-ს ოცი წელიწადი შესრულებულა მას აქედ, რაც ჟურნალი „მწყემსი“ დაარსდა. ოცის წლის არსებობა ჟურნალ-გაზეთისა და ისიც საქართველოში, მართლა რომ შესანიშნავია, როგორც თვით „მწყემსი“ ამბობს. ამ სასიამოვნო ამბავის გამო რედაქტორი და გამომცემელი ამ ჟურნალისა, დეკანოზი დავით ღამბაშიძე, მოკლედ იხსენიებს ჟურნალის დაარსების ისტორიას და იმ მრავალ დაბრკოლებასა და შევიწროებას, რომელიც რედაქტორ-გამომცემელს უნახავს და გამოუცდია დასაწყისშივე და ოცის წლის განმავლობაში. შემდეგ დეკანოზი დ. ღამბაშიძე განაგრძობს:

> ოცი წელიწადი, მართალია, დიდი დრო არ არის, მაგრამ ჩვენ ქართველებისათვის ეს 20 წელიწადი, 1883 წლიდგან 1903 წლამდე, წარსული წლების სამოც წელს უდრის. სამოცი წლის განმავლობაში არ მომხდარა ის ცვლილებანი, რაც მოხდა ამ ოცი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით სასულიერო წოდებაში. დედა-მიწაზედ არ მოიძებნება ისეთი ხალხი, როგორიც ჩვენ, ქართველები ვართ, რომ ისე უგრძნობლად მიეგებებოდნენ ყოველგვარ ცვლილებას, როგორც ჩვენ ვეგებებით უდარდელად და არხეინად. ამ ცოტა ხნის განმავლობაში ჩვენ, ქართველებისათვის, განსაკუთრებით სამღვდელოებისათვის, დადგა ახალი დრო, რომელიც ერთობ განსხვავდება ჩვენი ძველი დროისაგან. დიდი გამჭრიახობა, დიდი შრომა და მეცადინეობა გვმართებს, რომ ჩვენ სამწყსოს წინ მივუძღოდეთ და უკან არ ჩამოვრჩეთ.
>
> წავიდა ძველი დრო, ჰქრება სრულებით ძველი აზრები, ძველი შეხედულება, ძველი მიმართულება, ძველი ჩვენებური მამა-პაპური ძმობა, სიყვარული და ყოველივე ძველი ჩვეულება და დარბაისლობა; მწყემსი სათავეში უნდა უდგეს სამწყსოს და ყოველივე ღონეს უნდა ხმარობდეს, რომ მისი ხმა ესმოდეს ცხოვართა...
>
> აწინდელი ცხოვრების მიმხედვარე იმედს ჰკარგავენ და სასოწარკვეთილებას ეძლევიან, ხედავენ-რა ბევრი ჩვენგანი სარწმუნოების დამცირებას, ზნეობის დასუსტებასა და სხვა-და-სხვა სვინიდისის წინააღმდეგ მოვლენათა: უჯიათობას, უგნურობას, მჩაგვრელობას და შევიწროებას.
>
> მაგრამ ღმერთმა ნუ ჰქნას ეს! შორს ჩვენგან სასოწარკვეთილებავ! შორს ჩვენგან უიმედობავ! სასოწარკვეთილება ერთი მომაკვდავ ცოდვათაგანია! გადავშალოთ დაბადების წიგნი და გადავათვალიეროთ ხალხის ისტორია. განა წინად არ ყოფილა უარესი იმაზე, რასაც დღეს ვხედავთ?.. განა მარტო ჩვენშია ყველა ის, რასაც ვხედავთ, და სხვაგან არა არის-რა? სარწმუნოება ხანდისხან მხოლოდ რამდენიმე პირთა შორის დაცულა და ხოლო ისევ გავრცელებულა. ერთ დროს არსებული ძალმომრეობა, ერთი-მეორისაგან ჩაგვრა და დევნულება მოსპობილა და ქვეყანაზე დამყარებულა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება. ერთნაირი ცხოვრება ქვეყანაზე არასოდეს არ ყოფილა. დროება ცვალებადია. სად არის დღეს ყოველივე ის, რაც იყო ეგვიპტეში? სად არის დღეს ის, რაც იყო რომში და რაც ხდებოდა შესანიშნავ კოლიზიუმში? სად არის ის, რაც ხდებოდა ჩვენში თათრებისა და სპარსელების დროს?..
>
> ვიქონიოთ იმედი, იმედი და იმედი. ჩვენი და ჩვენი სამწყსოის ხსნა შეუძლია მხოლოდ ერთად-ერთს განათლებას. მხოლოდ ამისი იმედი უნდა გვქონდეს. უნდა გამოვეთხოვოთ სამუდამოდ იმ ფიქრსა და აზრს, რომ ჩვენზე იზრუნვენ, და რაც საჭიროა, ჩვენთვის სხვები გაგვიკეთებენ და აგვისრულებენ. ეს არსად ქვეყანაზე არ მომხდარა და ნურც არავინ ჩვენში მოელის ამას. მაშ ისევ სიმხნე, ჩვენო თანამოძმენო, გამჭრიახობა, შრომა მეცადინეობა და ნიადაგ ზრუნვა თავის თავის განვითარებაზე, შვილებისა და სამწყსოს განათლებაზე.

ვისურვებთ, რომ ჟურნალი „მწყემსი“ კეთილ აზრებისა და სურვილის განხორციელებას კვლავად დიდხანს მსახურებდეს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

ხუთშაბათს, 6 ნოემბერს, გამართულმა წარმოდგენამაც მწყობრად დ კარგად ჩაიარა. ამ საღამოს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა სცენები 2 მოქ. დ. კლდიაშვილისა და კომ. „პირველი ბუზი“, რუსულიდან გუნიას მიერ გადმოკეთებული.

ავტორს პირველის პიესისას ტყუილადკი არ დაურქმევია თავის ნაწარმოებისათვის სცენები. როგორც დრამატიული ნაწარმოები, „ირინეს ბედნიერება“ ცოტაოდნად სუსტობს, მეტადრე პირველ მოქმედებაში გაზვიადებული ლაპარაკია აბესალომსა და ვიქტორს შორის, მოქმედებაც ნაკლებია და ამიტომაც, ცოტა არ იყოს, მოსაწყენიც. მაგრამ ამ ნიჭიერ ნაწარმოებს ერთი თვისება აქვს, რომელიც მკითხველს თუ მაყურებელს ავიწყებს მის სუსტს მხარეს და საინტერესო პიესად ჰხდის: ეს მისი ბუნებრივობაა, სინამდვილე.

ავტორს შეუმჩნევია ცხოვრებაში უმსგავსი მოვლენა ქალიშვილის „გაბედნიერებისა“; შეუმჩნევია ვაჭრული ხასიათი, შელახვა ადამიანურ ღირსებისა, რომელიც თან სდევს ხოლმე ამისთანა „გაბედნიერებას“, თავის შემოქმედებითის ნიჭის წყალობით ჩვენწინ გადაუშლია სურათი, რომელიც ყოველს ჩვენგანს ეცნობა, რომელიც ყოველს ჩვენგანს ეზიზღება, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში ხშირია. აი აქაა კიდეც ღირსება ამ ნაწარმოებისა, რომელსაც, შეიძლება, სავსებით არ აღუბეჭდია მთელი მოვლენა, მაგრამ ამდენი ტიპიური, მართალი და სიცოცხლით სავსე ხასიათი მიუცია.

წარმოდგენილი „ირინეს ბედნიერება“ მშვენივრად იყო. ბ-ნი ბალანჩივაძე (ბარბაქაძე) დ ვ. შალიკაშვილი თავიანთის თამაშობით ავსებდნენ იმას, რაც ავტორს დაეკლო პიესისათვის; მეტადრე პირველი მოხუც ფილიპეს როლში საუცხოვო სანახავი იყო. ყაბალახიდან მოყოლებულო წაღებამდე, მისი ტანისამოსი, მისი ყოველი მოქმედება, მოძრაობა განხორციელება იყო იმერ ხელმოკლე აზნაურისა.—აგრეთვე კარგები იყვნენ: ნ. ჩხეიძე, კ. ყიფიანი, ბ. ბარველი, ჯავახიშვილი და სხვ. კომედიამაც მხიარულად ჩაიარა ვ. აბაშიძისა, ტ. აბაშიძისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, ბ-ნ გედევანოვის და სხვ. წყალობით.

ხალხი ბლომად დაესწრო.

ქ. ყი—ნი.

წერილი

რედაქციის მიმართ

I

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით ს. მეჯვრისხევის სასოფლო სამკურნალო კერძო ქსენონის კომიტეტის სურვილისამებრ, უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ქსენონის კომიტეტის თავმჯდომარეს, თ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძეს ერისთავს, მის მეუღლეს კნ. ალექსანდრა დავითის ასულს ერისთავისას, და კბილის ექიმს სოფიო რომანიშვილის ასულს, პირველთ ელექტრონის მანქანის და მეორეს კბილის იარაღების შემოწირვისთვის ქსენონის სასარგებლოთ.

დროებითი გამგე ქსენონისა კ. ელიოზიშვილი.

II

უმორჩილესად გთხოვთ დაჰბეჭდოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი; 1, ანგარიში წარმოდგენისა, რომელიც იყო გამართული ქ. ახალციხეში ადგილობრივ იაფფასიან სამკითხველოს სასარგებლოდ 15 თიბათვეს და 2, ანგარიში სეირნობისა, რომელიც იყო გამართული იმავე სამკითხველოს სასარგებლოდ აბასთუმანში 22 მარიამობისთვეს.

წარმოდგენიდგან შემოსავალი იყო: ბილეთებისა 74 მ. 50 კ., შემოწირულობა სხვა-და-სხვა პირთაგან 8 მ. 45 კ., სულ 82 მ. 95 კ. ხარჯი: მარკებისა 3 მ. 15 კ., აფიშებისა და ბილეთების დასაბეჭდი 3 მ., პარიკმახერს 3 მ., საზანდარს 3 მ., ბ. გუბერნატორთან დეპეშის გასაგზავნი 2 მ. 25 კ., სცენის მოწყობა და განათება 10 მ. 68 კ., წვრილმანი ხარჯი 3 მ. 60 კ., სულ 28 მ. 68 კ.

წმინდა შემოსავალი დარჩა 54 მ. 27 კ. სეირნობისაგან შემოვიდა: ბილეთებისა 139 მ. 65 კ., შემოწირულობა: ქ-ნ მირზოევისაგან 19 მ., კნ. არღუთინსკი-მხარგრძელისაგან 3 მ., ბ. ჩაჩიკაშვილისაგან 7 მ. 34 კ,

---

— ძალიან მესიამოვნა, კირილე, შენი ნახვა...—მიმართა მან კირილეს, როცა ის ხალხში დაინახა.

— მეც ძალიან მესიამოვნა... როგორ ბრძანდებით? რა ნაირად?!

— კარგად გახლავარ, კარგად, ჩემო კირილე! რა მშვენიერი ადგილებია აქეთკენ!! რა მშვენიერი ჰაერია!! სწორედ შვეიცარიას ჰგავს ზემო-იმერეთი საზოგადოდ და განსაკუთრებით ეს მხარე. წავიდეთ, ერთი აიქით გადავიდეთ და გადავხედოთ აქედგან ქვესკნელში ჩაკარგულს სადგურის ახალს შენობას და გველივით დაკლაკნილს რკინის გზასა.

კირილე და მისი მოსაუბრე ეკკლესიის გალავნიდამ გავიდნენ, დასხდნენ ხის ქვეშ ამწვანებულს მინდორზე და დაიწყეს ცქერა გარე შემორტყმულის ბუნებისა... აი ძირს სიჩქარით მირბის ანკარა წყლიანი ჩხერიმელა, რომელიც სიმარდით ეხლება თავის კალაპოტში ხშირად თავ ამოშვერილს ქვებსა, იქვე მთის ძირში, რომელიც შემოსილია ხშირი ამწვანებულის ტყით, შენდება კოხტა ახალი სადგური რკინის გზისა; სადგურს დასჩერებია ერთი პატარა მთა, მთის ზემოდ ვაკეა, აქ გამოკაფულია საყანეები გლეხებისა, იმის ზემოდ კიდევ მთა და საყანეები და კიდევ ზემოდ მაღალი „ზეპერის მთა“, ბუმბერაზივით გაჩერებული, მუდამ მოღუშული, მუდამ მდუმარე... აქეთ გამოიხედავ კვლავ ასეთს სურათებს ხედავ, აღმოსავლეთით და დასავლეთით გორაკები, სოფლები და მთები, ერთი სიტყვით, ისეთი სურათები, რომელთ აღწერა კალამს არ შეუძლიან. ახლა ჰაერს არ იტყვით?! მუდამ ჰქრის ნიავი, რომელსაც ადამიანის ფილტვებისათვის მოაქვს მასაზრდოებელი და სისხლის გამწმენდი მჟავბადი. მჟავბადის სიუხვეს ხელს უწყობს აუარებელი ტყეები და მცენარეულობა, რომლითაც შემკულია ეს კუთხე!..

— პანაშვიდი გადაუხადე შენს საცოდავს ძმასა, ბატონო ონიფანტე?

— გადავუხადე, ჩემო კირილე... ძალიან კარგი გამომთქმელი მღვდელი ჰყოლიათ ამ სოფელში!!

— მამა ეგნატე მეტად პატიოსანი მღვდელია... არც ღვინის სმა, არც დროს გატარება, არც სიზარმაცე, არც გლეხთა ჩაგვრა მაგას არ უყვარს... კაცის მდგომარეობაში შედის... წირვა-ლოცვა სამაგალითო იცის. შინაური სწავლა-განათლება მიუღია და ზნეობით სპეტაკი კაცია...

— მე, უნდა გამოგიტყდე, სასოებას მგვრის ქართული წირვა-ლოცვა. მშობლიურს ენაზე მაღვილება, მიყვარს და მენატრება ღვთის ვედრება.. მშობლიური სიტყვა ღრმად სწვდება ჩემს გულსა და სიამოვნების ჟრუანტელს ავრცელებს მთელს ჩემს არსებაში... აი ჩვენს სამეგრელოში ვიცი ოცი-ოცდა ათი მღვდელი, რომელნიც საუცხოვოდ ასრულებენ წირვა-ლოცვას ქართულად და ხალხსაც უყვარს.

— ონიფანტე, სამეგრელოში რა ამბებია?!

— ცუდი, კირილე ცუდი! ჩაგვციებიან, კაცო, თქვენი მშობლიური ენა ქართული-კი არა, მეგრულიაო... ღმერთი, რჯული, ეს ტყუილია... მეგრული კილოკავი განვითარებული არაა და, რომ განვითარდეს, ქართული ენა გამოვა.. ცხრა მეათედი მეგრულში ქართული სიტყვებია; ერთი მეათედიც— ძირით, ფესვით ქართულია...ჩვენი მშობლიური ენაც ძველთაგანვე ქართულია; ამ ენაზე მივიღეთ ჩვენ ქრისტეს სჯული, ამ ენაზე სრულდებოდა და სრულდება ჩვენში წირვა ლოცვა, ამ ენაზე გვიქადაგებდნენ ჩვენ უკვდავი ჰყონდიდელი მღვდელ-მთავრები; შინ და გარეთ, ვაჭრობაში და მიწერ-მოწერაში, ტირილში და სიცილში ქართულ ენას ვხმარობდით და დღეს-კი გაიძახიან: ქართული არაა თქვენი მშობლიური ენაო... წირვა-ლოცვა შეუძლებელია მეგრულს კილოკავზე. გამოდის რაღაც მასხრობა და დაცინვა საღვთო საგნებისა; უსჯულოებას ავრცელებს, ხალხს სარწმუნოებას შეაძულებს, ზნეობას შეურყევს... ქართული მეგრელისათვის წმიდა, საღვთო, ციური ენაა.. მეგრელები ცოდვად სთვლიან უბრალო, საშინაო ლაპარაკს იმ ენით, რომლითაც ღმერთს ევედრებიან.. ხალხმა კაი ხანია უარ-ჰყო თვისის განაჩენით მეგრული წირვა-ლოცვა...

— გიშველოს ღმერთმა, ჩემო ონიფანტე, მასიამოვნე შენის საუბრითა.. გამოვყრუვდი აქეთ. რა ხანია წიგნი არ წამიკითხავს-რა... შენის წყალობით ადამიანი გავხდი. შენ ჩამინერგე თვით-განვითარების წყურვილი... შენი აზრები ჩვენის ენის შესახებ ბევრი მეგრელისაგან გამიგონია... ძნელია მისი აღმოფხვრა, რაც საუკუნოების განმავლობაში ხალხს შეუთვისნია!! წავიდეთ, ონიფანტე, ვისადილოთ ჩემთან...

— წავიდეთ!! ჯერ ძმის საფლავს ვემთხვევი!.. შემდეგს წელში მშვენიერის ძეგლით შევამკობ მის საფლავს!! ძვირფასი ადამიანი იყო!!

— საცოდავს რა რიგ უყვარდა წიგნების კითხვა!! შემოუსხდებოდნენ გარს მუშები და ისმენდნენ მის წაკითხულსა... მეტის-მეტად უყვარდათ კეპრიანე მუშებსა... მათი სული და გული იყო, მათი მოძღვარი და მასწავლებელი... ქართულის ენის ცოდნაში ვერავინ შეედრებოდა... აცხონოს ღმერთმა! სანამ ის უბედური შემთხვევა მოუვიდოდა, ხუმრობით ხშირად იტყოდა ხოლმე: თუ აქ მოვკვდე, ზემოდ რომ საყდარია, იმის ეზოში დამმარხეთო... წინასწარ გრძნობა აუსრულდა საცოდავსა... „სულ ერთიო“—იტყოდა ხოლმე—„ეს მხარეც, ზემო იმერეთი ჩემი სამშობლოაო... არ ვინაღვლებ, სადაც უნდა დავიმარხო, ოღონდ ჩემი სამარე ქართველთა შორის იყოს—ოღონდ მღვდელმა წესი ამიგოს ქართულად,—ქართულად მიტირონ და ქართულად შენდობა შემომითვალონო... ტყუილად ხომ არ მღერიან:

„ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
ყველა ჩემი სამშობლოო,
საყვარელი საქართველოო“.

მიდიოდნენ ონიფანტე და კირილე სოფლის დაღმართით და თან მეგობრულად საუბრობდნენ. მათ სთქვეს ამ მთისა, იმ მთისა, ეს, ის, აქაური, იქაური და, ბოლოს, როცა დანიშნულს ადგილს მივიდნენ, ისადილეს „კუტის დუქანში“. კუტის დუქანი სწორედ წყლის ნაპირს იდგა. მისი პატრონი ერთი დაკუტებული გლეხი კაცი იყო, რომლის ნამდვილი სახელი არც-კი იცოდნენ მის დუქანში მიმსვლელებმა. კუტს ხელები და ფეხები ჰქონდა ქარებით დაკრუნჩხული, მუდამ სკამზედ იჯდა და დიდის სიმარდით დადიოდა, ვაჭრობდა, სჭამდა სვამდა, სწერდა და ქაღამნებს ახსავდა. კუტის დუქანი სწორედ სალაყბო ადგილი იყო მუშათა და ადგილობრივ სოფლელთათვის: კვირა-უქმე დღეებს აქ ატარებდნენ; ხშირად ღვინოსაც გიახლებოდნენ, ერთის კვირის ნამუშევარს კუტს უტოვებდნენ... ტყუილა-კი არ იტყოდა ხოლმე ერთი ასატურა სომეხი: „იმერლები დიდი ნიჭიერი ხალხია: სწავლა-განათლება უყვარს, ვაჭრობა და მრეწველობა ეხერხება, კარგი მომავალი ექნებათ იმათ... მაგრამ ყაირათი, ბარაქა არა აქვს,—ფულის ყადრი არ იციან... რასაც შოულობენ, არ ინახავენ, არ აქურჩებენ, ჭამა-სმასა და ჩაცმა-დახურვაში ჰფანტავენ. ჩვენი სომეხი კაცი... ყაირათიანია... ქეიფი, ლოთობა არ უყვარს... ფულის ყადრი იცის... უბრალოდ ერთს გროშსაც არ დახარჯავს... მაშინ როდესაც ამ სიტყვებს ვისმენდი ასატურასაგან, მწყინდა, რადგან ჯერ ცხოვრების მადენი არა მესმოდა-რა... ახლა-კი სრული თანახმა ვარ ასატურასი..- ვერ წარმოიდგენ, რა რიგ ამდიდრებენ ჩვენებური ზოგიერთი მუშები სამიკიტნოებს! მთელს შეძენილს ფულს მიკიტნებს უტოვებენ და თავის სახლ-კარს არას არგებენ. მათი ოფლით შეძენილი ფული მიკიტნებს ჯიბეს უსქელებს... მართალს ამბობდა ასატურა, რომელიც დღეს თავის თავ-დაჭერილობის, შრომის და დაზოგვის წყალობით მდიდარია: დიდძალი ადგილ-მამული აქვს სოფლად და ქალაქს ტფილისში მშვენიერი სახლები. ყარაბაღიდამ საქართველოში პერანგის ამარა მოსული ასატურა ათი-თორმეტის წლის განმავლობაში თითქმის მილიონის პატრონი შეიქმნა... ლოთობა, ბანქოს თამაში, უბრალო რამეებში ფულის ფლანგვა—მას სძულდა... ის მუდამ ფხიზელი იყო და ჰქონდა ფხიზელი შეხედულება ცხოვრებაზე.

ნ. ძ—რელი

(დასასრული იქნება)

სხვა-და-სხვა პირთაგან 10 მ. 16 კ., სულ 179 მ. 15 კ.

ხარჯი: მარკების 11 მ. 18 კ., დეპეშის 2 მ. 15 კ. მიხაილოვსკის დასს 87 მ. 35 კ., აფიშებისა და ბილეთების დასაბეჭდი 7 მ., მუზიკა 15 მ., სხვა-და-სხვა წვრილმანი ხარჯი 11 მ. 40 კ., სულ 134 მ. 8 კ., წმინდა შემოსავალი დარჩა 45 მ. 7 კ. სამკითხველოს სამზრუნველო გულითადს მადლობას უძღვნის ყველა ზემოხსენებულ პირთ შემწეობის აღმოჩენისათვის შემოწირულობით თუ მონაწილეობის მიღებით და სხვა რაიმე დახმარებით, განსაკუთრებით ბ. ჩაჩიკაშვილს, რომლის თავგამოდებულ შრომა-მეცადინეობით მოხერხდა სეირნობა დ. აბასთუმანში,

სამზრუნველო მადლობას უძღვნის აგრეთვე ბ. ვასილ ხმალაძეს, რომელმაც შემოსწირა სამკითხველოს შეშა, ღირებული 2 მანეთად.

სამკითხველოს გამგე
კ. მეფისაშვილი.

მდივანი და ხაზინადარი
ე. ღვთისავრიშვილისა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ნოემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის მდგომარეობის ბიულეტენი: „ნოემბრის 6-ს მათს უდიდებულესობას ღამე დრო-გამოშვებით ეძინა. დილით 37,₂ ტემპერატურა ჰქონდა. მაჯა 72, კარგადა სცემდა. ყურის ტკივილი კლებულობს“.

პეკინი. მოვიდა გენერალი ვოგაკი მანჯურიის სამი პროვინციის რუს კომისარებით ლისართან მოსალაპარაკებლად.

ტოკიო. ამერიკის მოთხოვნილებამ იოჰამპოს კართა გახსნის შესახებ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ამბავს იმ მნიშვნელობას აძლევენ, რომ შეერთებული შტატებიც ისევე აპირობს მოქმედებას, „ღია-კართა“ პოლიტიკის შესახებ, როგორც ინგლის-იაპონიაო.

ვინძორი. ედუარდ მე-VII და იტალიის მეფემ დღეს ვინძორის ტყეში ინადირეს. საღამოზედ სადღესასწაულო ნადიმი გაიმართა.

ტიანძინი. ფენ-ნინისა (მანჯურიაშია) და კალგანს შორის დიდ კედელის გასასვლელში ჩინელთა სადარაჯოები რუსებმა დაიჭირეს.

ვაშინგტონი. სახელმწიფო დეპარტამენტმა მიიღო ცნობა კაუკისა და ანტიოკიოს დეპარტამენტთაგან,—გვინდა კოლუმბიის რესპუბლიკას გამოვეყოთ და პანამის ახალ რესპუბლიკას შევუერთდეთო.—დღეს ხელი მოაწერეს ხელშეკრულობას პანამის არხის გაჭრის შესახებ სახელმწიფო მდივანმა ჰეიმ და პანამის მთავრობის ელჩმა. ეს ხელშეკრულობა ორის დღის განმავლობაში უნდა დამტკიცდეს. თანახმად ამ ხელშეკრულობისა, ის ადგილი, რომელზედაც არხი უნდა გაჭრან, შეერთებულ შტატების უფლებაში იქნება.

კიშინიოვი. დღეს ოდესის სამოსამართლო პალატამ, სხვა-და-სხვა წოდების წარმომადგენელთა თანადასწრებით, დაიწყო საქმის გარჩევა, საზოგადოების დაუსწრებლად, ებრაელთა დარბევის საქმისა, რომელიც მოხდა კიშინიოვში ამა წლის 6-სა და 7-ს აპრილს. ბრალდებულია 36 ქრისტიანი და ერთი სპარსეთის ქვეშევრდომი. მათ შორის 11 დაპატიმრებულია. მოწვეულია 3 ექსპერტი და 566 მოწმე. თავმჯდომარეობს დავიდოვი; ბრალმდებელია ჯაბელლი. იცავენ ნაფიცნი ვექილნი, მათ შორის შმაკოვიც. სამოქალაქო სარჩელისათვის ებრაელთა მხრივ მოწვეულია 13 ნაფიცი ვექილი, სხვათა შორის, კარაბჩევსკიც.

ვარშავა. ხელმწიფე იმპერატორმა უმოწყალესად უბოძა ვარშავის საქველმოქმედო საზოგადოებას 10,000 მან.

ნიუ-იორკში. იმ ხელშეკრულობაში, რომელიც დასდვეს ჰეიმ და პანამის რესპუბლიკის ელჩმა, აღნიშნულია,—პანამა უთმობს შეერთებულ შტატებს საუკუნოდ ადგილს, რომელიც საჭიროა არხის გასაყვანად და მოსაწყობადაო. შეერთებულ შტატების უფლებაში იქმნება არხის ორივე კიდე სიგანით 10—12 ინგლისური მილი. პანამა სამაგიეროდ ღებულობს 10 მილიონ დოლარს. არხი ყველასათვის ნეიტრალური იქნება და ყოველ ერს თანაბარის უფლებით შეუძლიან ისარგებლოს.

ლონდონი. იტალიის მეფე-დედოფალი ვინძორით ლონდონს წაბრძანდნენ სადგურიდგან იტალიის საელჩოსაკენ გაემართნენ. შემდეგ ინახულეს ჰილდ-ჰოლი, სადაც მათ ლორდ-მერი მიეგება. სადღესასწაულო ნადიმზედ ლორდ-მერმა მეფე-დედოფლის სადღეგრძელო დალია. მეფემ სამაგიეროდ ლორდ-მერისა და ლონდონის წარმომადგენელთა სადღეგრძელო მიირთვა.

7 ნოემბერი

ბაზრა. პრინცესსა ევგენია მაქსიმილიანეს ასულის, პრინც ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელის და მრავალ სტუმრად მოსულ ადგილობრივ მცხოვრებთა თანადასწრებით აკურთხეს ახალი შენობა პრინც პეტრე გიორგის ძე ოლდენბურგელის თავშესაფარის გაგრის განყოფილებისა. განზრახვა აქვთ გახსნან პირველ დაწყებითი სასწავლებელი, დედათა გიმნაზია და რეალური სასწავლებელი. გამოცხადდა ნებართვა ვადით მიღებისა იმ საშუალო სასწავლებელთა მოწაფეებისა, რომელთათვის საჭიროა სამხრეთის ჰავა.

ვარშავა. ჰესსენის პრინცესის გასვენების დროს სკერნევიცის სასახლიდგან საიმპერატორო მატარებელზე კუბო მიჰქონდათ ხელმწიფე იმპერატორს, დიდს ჰერცოგს ჰესსენისას, დიდს მთავარს სერგი ალექსანდრეს ძესა და მათ ამალას; კუბოს მისდევდა დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული. სადგურზედ კუბო ვაგონში შეასვენეს, სადაც შეჰყვნენ ხელმწიფე იმპერატორი და მთავარნი. პასტორმა ლოცვა რომ წაიკითხა, ხელმწიფე იმპერატორი ვაგონიდგან გამობრძანდა და მატარებელი დაიძრა. მუსიკამ დაუკრა „კოლ სლავენ“. თოფ-ზარბაზნები დაიცალა.

მასკატ. ლორდ კერზონი მოვიდა ინდოეთის გემით „გარდინსით“, რომელსაც ახლდა ოთხი ინგლისის სამხედრო გემი. ხონთქარი ლორდის სანახავად ავიდა გემზედ. შემდეგ ვიცე-კოროლიც ეწვია ხონთქარს და ინგლისის საკონსულოში ინახულა ინგლის-ინდოეთის ქვეშევრდომების დეპუტაცია, რომელმაც ადრესი მიართვა და სიამოვნება განუცხადა ლორდის მისვლის გამო. კერზონმა უპასუხა, სხვათა შორის, რომ ინგლისის ვაჭრობას უპირატესობა უნდა ჰქონდეს ამ ქვეყანაში, ხოლო ინგლისის მართებლობა არ გაერევა აქაურ მკვიდრთა შინაურ უთანხმოებაშიო. უკეთუ ინგლისის ქვეშევრდომთა სიცოცხლე და ქონება საშიშ მდგომარეობაში იქმნება, მაშინ-კი მართებლობა ქომაგობას გაუწევს და ხონთქრის დახმარების იმედიცა აქვს.

სოფია. *) სტამბოლიდამ დეპეშით იტყობინებიან, პორტაში ამბავი მოვიდაო, ბულგარიაში ცდილობენ, რომ ლტოლვილნი აღარ დაბრუნდნენ ოსმალეთშიო. თავის მხრივ ლტოლვილნი ამბობენ, რომ იმათ ჰსურთ დაბრუნდნენ თავიანთ ადგილებში იმ პირობით, თუ ევროპა დაეხმარება მათ და სრულს პატივებას მიიღებენ.

სოფია. **) კრება შინჯავს დეპუტატთა რწმუნების ქაღალდებსა სარწმუნო წრეებში დარწმუნებით ამბობენ, რომ მაკედონელ ლტოლვილთ არა სურთ სამშობლოში დაბრუნება, ეშინიათ ძალადობისა ოსმალთაგან და სიმშილისა.

დარმშტადტი. საგანგებო მატარებლის მოსვლის შემდეგ დიდის გამოჩენებით დაკრძალეს პრინცესა ელისაბედ ჰესსენისა როზენჰემის აკლდამაში. კუბოს მისდევდნენ დიდი ჰერცოგი ჰესსენისა, პრინცი ვიტელ-ფრიდრიხი პრუსიისა,—როგორც გერმანიის იმპერატორის წარმომადგენელი,—დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე დიდის მთავრინის ელისაბედ თეოდორეს ასულითურთ, პრინცი ჰენრიხ პრუსიისა მეუღლითურთ, ყოფილი დიდი ჰერცოგინა ჰესსენისა და სხვანი.

ველლინგტონი. დეპუტატთა პალატამ მიიღო წინადადება შესახებ იმისა, რომ მიეცეს უპირატესობა ინგლისიდგან შეზიდულ სიქონელს.

პეტერბურგი. რუსეთის ელჩი საფრანგეთში თ-დი ურუსოვი დაინიშნა ელჩად იტალიის მეფის წინაშე. რუსეთის ელჩი იტალიაში ნელიდოვი გამწესდა ელჩად საფრანგეთში.

---

*) მართებლობის წრეებიდგან.

**) ოფიციალურ წრეებიდგან.

პეტერბურგის ბირჟა 4 ნოემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93.75
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,32½
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,62½
ბირჟის დისკონტი.	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა	95⅛ მყიდ.
5% I პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	456 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	346 წვ. გაყიდ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა.	294½ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სად მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება. სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

იღწევსდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია-ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ტფლის სიბების ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

(მთავარმართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლოზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი კადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი 1½-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

1 ხარისხისა გირვანქა	11 კ.
„	8 კ.
3 „	96 კ.
სუკი	15 კ
ცხვრის ხორცი	10 კ.
კამეჩისა	7 კ.
ღორისა	
1 ხარისხის (საკატლეტე)	11 კ.
2 „ (ბარძაყი)	10 კ.
3 „ (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული)	8 კ.

ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

1 ხარისხისა	5 კ.
2 „	3½ კ.
3 „	3 კ.

განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და ითო ცალი ღირს ერთი მან.

ახალი წიგნი რუსულს ენაზე

Къ вопросу о мингрельской начальной школѣ (მეგრულის პირველ-დაწყებითის სკოლების შესახებ), ვარიანელიასა, დაბეჭდილი პეტერბურგში. ფასი ერთი აბაზი.

Какъ поднять Кавказскую народную школу (როგორ უნდა აღსდგეს კავკასიონის სახალხო სკოლა), იაკობ გოგებაშვილისა. ფასი ექვსი შაური.

ორივე წიგნის საწყობი არის წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, საიდგანაც უნდა დაიბარონ მეიდველებმა. (6—3)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

საწყობი ქაღალდის

მოსკოვი 1882 წ. დიტიატკოვის ამხანაგობა ნოვგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტ ფ ი ლ ი ს შ ი.

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—30)

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი

სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხების სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფ ა ს ი ყ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს ხ ე ლ მ ი ს ა წ ვ დ ო მ ი ა.

Дозволено цензурою Тифлис 7 ноября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი ზ. ჭიჭინაძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი